საქართველო
შპს „ ჯიჯიელ გრუპ“

GEORGIA
LTD,, GGL GROUP “

№ 1

19 ნოემბერი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ლ.ანდრონიკაშვილის III შესახვევი ქ.№3-ში დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობასა და არსებული შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

ქ. თბილისში, ლ.ანდრონიკაშვილის III შესახვევი ქ.№3-ში (საკადასტრო კოდი № 01.72.14.032.179) დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შედეგად არსებული შენობები კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია და მათი ექსპლოატაციაში მიღება შესაძლებელია.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა არსებული შენობების არქიტექტურული ნახაზები, რომელიც შედგება ორი ძირითადი, შენობა №1 და შენობა №2 და ერთი დამხმარე შენობა № 3. ჩვენს მიერ მოხდა არსებული შენობების ვიზუალური დათვალიერება, რის საფუძველზეც მომზადდა კონსტრუქციული დასკვნა ლ.ანდრონიკაშვილის III შესახვევი ქ.№3-ში არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა და არსებული შენობებიდან მომიჯნავე შენობებამდე დაშორება. არსებულ შენობებს №1, №2 და №3 (**საკადასტრო კოდი № 01.72.14.032.179**) ემიჯნება სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებზე სამი არსებული შენობა:

– ჩრდილოეთის მხარეს, არსებულ შენობებს №1, №2 და №3 ემიჯნება:

– მიწის ნაკვეთები: **საკადასტრო კოდით № 01.72.14.032.180,** და № 01.72.14.032.335

- № 01.72.14.032.180 საკადასტრო ერთეულზე დგას ერთი, ერთსართულიანი შენობა, რომელიც დაშორებულია არსებული შენობა №2- დან 14,0 მეტრით; არსებული შენობა №2 -ის საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ლენტური ტიპის, სიგანით 1,0 მ. შენობის ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასი, სვეტები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ზომებით 40 სმ X 40 სმ, რიგელები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ზომებით 40 სმ X 60 სმ, სართულშუა გადახურვის ფილა შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, სისქით 20 სმ. კედლები შესრულებულია წვრილი საკედლე ბლოკებით, სისქით 20 სმ. კიბეები მოწყობილია მონოლითურ რკინა-ბეტონის ფილაზე 15 სმ X 30 სმ საფეხურების მოწყობით. შახურავი მოწყობილია ბრტყელი, რბილი საიზოლაციო მასალებით. პარაპეტი მოწყობილია წვრილი საკედლე ბლოკებით, სისქით 20 სმ, რომრლზეც მოწყობილია რკინა-ბეტონის მონოლითური სარტყელი, ზომებით 20სმ X 20სმ. - № 01.72.14.032.180 საკადასტრო ერთეულზე დგას ერთი, ერთსართულიანი შენობა, რომელიც დაშორებულია არსებული შენობა №2- დან 14,0 მეტრით;

- № 01.72.14.032.335 საკადასტრო ერთეულზე დგას ერთი, ერთსართულიანი შენობა, რომელიც დაშორებულია არსებული შენობა №3- დან 0,2 მეტრით; შენობა №3 ასევე ერთსართულიანია, საძირკვლები შესრულებულია ლენტური, სიგანით 60სმ. მზიდი კედლები შესრულებულია წვრილი საკედლე ბლოკებით, სისქით 20 სმ. გადახუვრის ფილა შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, სისქით 20სმ. შახურავი შესრულებულია ბრტყელი, რბილი საიზოლაციო ფენილით.

არსებული შენობა №1 -ის საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ლენტური ტიპის, სიგანით 1,0 მ. შენობის ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასი,

სვეტები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ზომებით 40 სმ X 40 სმ, რიგელები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, ზომებით 40 სმ X 60 სმ, სართულშუა გადახურვის ფილა შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის, სისქით 20 სმ. კედლები შესრულებულია წვრილი საკედლე ბლოკებით, სისქით 20 სმ. კიბეები მოწყობილია მონოლითურ რკინა-ბეტონის ფილაზე 15 სმ X 30 სმ საფეხურების მოწყობით. შახურავი მოწყობილია ბრტყელი, რბილი საიზოლაციო მასალებით. პარაპეტი მოწყობილია წვრილი საკედლე ბლოკებით, სისქით 20 სმ, რომრლზეც მოწყობილია რკინა-ბეტონის მონოლითური სარტყელი, ზომებით 20სმ X 20სმ.

– აღმოსავლეთის მხარეს, შენობა №2-ს ემიჯნება ლ. ანდრონიკაშვილის III ჩიხი

– სამხრეთის მხარეს, არსებულ შენობებს ემიჯნება - № 01.72.14.032.320 საკადასტრო ერთეულზ ერთი, სამსართულიანი მშენებარე შენობა, რომელიც დაშორებულია არსებული შენობა №2- დან 8,0 მ-ით, შენობა №1-დან 5,0 მ-ით და შენობა №3-დან 12,0 მ-ით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 18 მაისის № 000179 დადგენილების დანართის მიხედვით აღნიშნული შენიშვნები მთლიანად ეხება შენობების ვიზუალურ მხარეს და შენობების კონსტრუქციულ გადაწყვეტებთან არსებითი კავშირი არა აქვს.

არსებული შენობები: შენობა №1 , №2 და №3 კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია და მათი ექსპლოატაციაში მიღება შესაძლებელია.

შპს „ჯიჯიელ გრუპ”-ის დირექტორი: / გ. გეთიაშვილი /

ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ. № 23 ტელ: 599-111-650.